ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ო63. 63261913
თარიღი:10/07/2026

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ო ქ მ ი N 23**

ქ. სამტრედია. 9 ივლისი, 2026 წელი.

2026 წლის 9 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია.

***ასევე სხდომას ესწრებოდნენ:***

***1.*** საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

***2.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

***3.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

**დღის წესრიგი**

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული 2026 წლის 9 ივლისის წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

**/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/**

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად ( 7 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

**1.** ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N 62-622619089 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსური აქტივების გეგმა მცირდება 50.0 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურების გეგმა იზრდება 50.0 ათ.ლარით (კომუნალური მომსახურების ხარჯის გასაწევად და სურსათის უვნებლობის შენიშვნების აღმოსაფხვრელად).

(მომართვის N 62-622619089 **09/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63261907-63 09/07/2026** წ.)

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.***

**2.** ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N 62-622619086 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საქონელი და მომსახურეობის გეგმა მცირდება 7.0 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების გეგმა იზრდება 7.0 ათ.ლარით (კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად).

(მომართვის N 62-622619086 **09/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63261905-63 09/07/2026** წ.)

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.***

**3.** ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N62-622619088 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, შპს ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია" -ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის გეგმა იზრდება 7.0 ათ.ლარით. შესაბამისად, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის გეგმა იზრდება 7.0 ათ.ლარით .

(მომართვის N62-622619088 **09/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63261908-63 09/07/2026** წ.)

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.***

**4.** ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N62-622619041 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დანართ N1-ში შესატან ცვლილებებს.

მცირდება :

მუხლი 14. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 200 000 ლარით;

იზრდება:

მუხლი 27. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული და უსახლკარო მოქალაქეების დახმარების პროგრამა - 125 000 ლარით.

(მომართვის N62-622619041 **09/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63261903-63 09/07/2026** წ.)

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.***

**5.** ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N62-622619087 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

(მომართვის N62-622619087 **09/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63261906-63 09/07/2026** წ.)

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.***

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

***სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე***

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი